



საქართველოს პრეზიდენტის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

N 282 2018 წლის 19 ივლისი ქ. თბილისი

„შეწყალების საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს
პრეზიდენტის 2013 წლის 26 ნოემბრის N928 ბრძანებულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „შეწყალების საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 26 ნოემბრის N928 ბრძანებულებაში (www.matsne.gov.ge, 29/11/2013, 010220020.08.002.016899) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას შეწყალების საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ზვიად ქორიძე

- ჟურნალისტი, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს წევრი, კომისიის თავმჯდომარე

ლია მუხაშავრია

- იურისტი, უფლებადამცველი

ეკა გიგაური

- ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი

- ვასილ (ზასა) ჯანიკაშვილი - მწერალი, დრამატურგი
- რევაზ კიკნაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი
- კონსტანტინე ჯანდიერი - მწერალი
- გივი შაჰნაზარი - მწერალი
- მიტროპოლიტი
- თეოდორე (ჭუაძე) - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი
- ნინო კიკნაძე - იურისტი
- არინა თავაქარაშვილი - პედაგოგი.“.

მუხლი 2. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.


 გიორგი მარგველაშვილი